თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მორიგი სხდომის

ო ქ მ ი № 18

26 ნოემბერი 2018 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 26 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **არჩილი თხლაშიძე;**

ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარია მოადგილე **გიგა ორკოდაშვილი;**

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი;**

საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე შათირიშვილი;**

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **ლევან კოჭლოშვილი;**

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე **დავით ღაღანიძე;**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **დავით გოგოშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება -კონსერვატორები“ თავმჯდომარე **მაია მარკოზაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები“ თავმჯდომარე **ტიტე დარეჯანიშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თავმჯდომარე **არჩილი თვალიაშვილი;**

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე ზურაბ მუსაევი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება
- დემოკრატიული საქართველო“
თავმჯდომარის მოადგილე ბესიკი ქოჩიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მრეწველები“ თავმჯდომარის მოადგილე ვასილ არაბული;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე გიგა მამუკელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ გრემელაშვილი;

საკრებულოს წევრები: ლევანი ოთიურიძე, ლელა მენთეშაშვილი, იოსებ პარწიკანაშვილი, ლევან მრელაშვილი,ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბი ლილუაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:

თელავის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი **გიორგი თავბერიძე;**
საკრებულოს აპარატის უფროსი **ტარიელ გალახვარიძე;**
საკრებულოს აპარატის თანამშრომლები: **ნიკა სახიაშვილი, სოფიო ოხანაშვილი;**
მოქალაქეები: **არჩილ მჭედლიშვილი, მაკა მოსიაშვილი.**

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს **დასამტკიცებლად** წარუდგინა

<u>**დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:**</u>

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობელთა კავშირი ლამპარისათვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
12.00სთ-დან -12.10სთ-მდე

2. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „ქალაქ თელავის №9 საჯარო სკოლისთვის“ პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
12.10სთ-დან -12.20სთ-მდე

3. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
12.20სთ-დან -12.30სთ-მდე

4. ლევან გალუსტიანის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შემენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
12.30სთ-დან -12.40სთ-მდე

5. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზურაბ ტერტერაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე
12.40სთ-დან -12.50სთ-მდე

6. თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე
12.50სთ-დან -13.00სთ-მდე

7. „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 7 დადგენილებაში ცვლილების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
13.00სთ-დან -13.10სთ-მდე

8. თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების(გერბი და დროშა) შემმუშავებელ დროებით სამუშაო ჯგუფის ვადის გაგრძელების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი
13.10სთ-დან -13.20სთ-მდე

9. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. დ.გოგოშვილი
13.20სთ-დან -13.30სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

საკრებულოს წევრმა **დ.ღაღანიძემ** და მოქალაქე **ა.მჭედლიშვილმა** დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შემდგომ მოითხოვეს განცხადებების გაკეთების უფლება.

თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ სხდომის ბოლოს გააკეთებს განცხადებას.

<u>1.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ა(ა)იპ „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა მშობელთა კავშირი ლამპარისათვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

12.00სთ-დან -12.10სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ა.შათირიშვილმა** აღნიშნა, რომ საკითხი განხილულია შესაბამისი კომისიის მიერ, კომისიას მიზანშწონილად მიაჩნია პროექტში აღნიშნული ფართის გადაცემა.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

<u>2.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ „ქალაქ თელავის №9 საჯარო სკოლისთვის" პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

12.10სთ-დან -12.20სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ბ.ქოჩიშვილმა, ლ.მრელაშვილმა** აღნიშნა, რომ აღნიშნული ფართი 2006 წლამდე ეკუთვნოდა სკოლას, სკოლა ამ ეტაპზე ნაკვეთის გადაცემის შემთხვევაში აღდგება რკინის კონსტრუქცია, რომელიც შეღობილი იყო სკოლის წინ არსებული სკვერი და დაზიანდა სკოლის რეაბილიტაციის დროს, ასევე კეთილმოეწყობა არსებული სკვერი.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

მეორე საკითხის შემდგომ სხდომის მსვლელობას შემოურთდა საკრებულოს წევრი **ლ.მენთეშაშვილი.**

<u>3.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

12.20სთ-დან -12.30სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ა.შათირიშვილმა** აღნიშნა, რომ კომისიას მიზანშწონილად მიაჩნია აუცილებლად მოხდეს აღნიშნული მიწის ნაკვეთის შეღობვა.

ნ.მაისურაძემ აღნიშნა, რომ ამ ტერიტორიაზე უნდა განთავსდეს ელ.ენერგიის ტრანსფორმატორი, შსაბამისი კომპანია ვალდებულია მოახდინოს მისი შეღობვა და უსაფრთხოების ნორმების დაცვა.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 24(ოცდაოთხი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

მესამე საკითხის შემდგომ სხდომის მსვლელობას შემოურთდა საკრებულოს წევრი **ლ.კოჭლოშვილი.**

<u>4.მოისმინეს:</u> ლევან გალუსტიანის მიერ ქ. თელავში, კავკასიონის ქუჩაზე მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის შეძენისას ნაკისრი სააუქციონო პირობის ვადის გაგრძელების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

12.30სთ-დან -12.40სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **ა.შათირიშვილმა** აღნიშნა, რომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ლ.გალუსტიანს გაუგრძელდეს სააუქციონო პირობით განსაზღვრული ვადა.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25 (ოცდახუთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

<u>5.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ზურაბ ტერტერაშვილისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, დროებით სარგებლობის უფლებით უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს. გ.თავბერიძე

12.40სთ-დან -12.50სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25 (ოცდახუთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

<u>6.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

მომხს. გ.თავბერიძე

12.50სთ-დან -13.00სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25 (ოცდახუთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

<u>7.მოისმინეს:</u> „თელავის მუნიციპალიტეტის მერიაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დოკუმენტების ფორმების დამტკიცების შესახებ“ თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის N 7 დადგენილებაში ცვლილების შესახებ.

მომხს. ნ.ხვისტანი

13.00სთ-დან -13.10სთ-მდე

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.მამუკელაშვილმა,**
მოქალაქე ა.მჭედლიშვილმა დასვა კითხვა სამართალდაღვევის ადმინისტრირების პროცედურებთან დაკავშირებით,რაზეც მომხსენებლის მიერ გაკეთებული იქნა შესაბამისი განმარტებები.

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25 (ოცდახუთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

<u>8.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის სიმბოლოების(გერბი და დროშა) შემმუშავებელ დროებით სამუშაო ჯგუფის ვადის გაგრძელების შესახებ.

<u>აზრი გამოთქვეს:</u> **გ.ჩაბრაშვილმა, ა.შათირიშვილმა**

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25 (ოცდახუთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

<u>9.მოისმინეს:</u> თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხს. დ.გოგოშვილი
13.20სთ-დან -13.30სთ-მდე

<u>დაადგინეს:</u> დამტკიცდეს წარმოდგენილი პროექტი (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს 25 (ოცდახუთი) წევრმა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო 01 (ერთი) წევრმა: **ლ.მენთეშაშვილმა.**

- **დ.ღაღანიძემ** აღნიშნა, რომ კომპანია M² გეგმავს თელავში სასტუმროს მშენებლობას, გამომდინარე იქიდან, რომ შერჩეული ადგილი ისტორიულია. მუნიციპალიტეტი უნდა იყოს ჩრთული აქტიურად რათა არ მოხდეს ქალაქის იერსახის დამახინჯება. უნდა გავეცნოთ გეოლოგიურ დასკვნებსაც.

- **ა.თხლაშიძემ** ისაუბრა იმის თაობაზე, რომ მშენებლობის დროს კომპანიამ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს საკითხები, რომლებიც ეხება ქალაქის განაშენიანების გენერალურ გეგმას, მან იმედი გამოთქვა, რომ სამუშაოები წარიმართება მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით.

- **ა.მჭედლიშვილმა** საკრებულოს წევრებს განუმარტა, რომ კლუბი „რა, სად, როდის“ ვერ ახერხებს ერთ სივრცეში თამაშების მოწყობას და საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატებს განუმარტა, რომ აღარ დაასჭირდება მათი დახმარება მონაწილეთა ტრანსპორტირებაში.
  მან ასევე ისაუბრა იმის თაობაზე, რომ საკრებულოს კომისიის სხდომებზეც აუცილებელია დაცული იყოს რეგლამენტი და სხდომა მიმდინარეობდეს ისე, როგორც მიმდინარეობს საკრებულოს სხდომები.

- ა.თხლაშიძემ აღნიშნა, რომ 2018 წლის 25 ნოემბრიდან საქართველოში დაიწყო გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი სამთავრობო კამპანია, რომელსაც უნდა შეურთდეს თელავის მუნიციპალიტეტი. მან საკრებულოს წევრებს გააცნო ის ღონისძიებები, რომლებიც უნდა განახორციელოს მუნიციაპალიტეტმა კამპანიის მიმდინარეობიოს პერიოდში.

საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე